განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
გენდერის კვლევა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

12.11.2021

27.11.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე)	**გენდერის კვლევა** **Gender Studies**
უმაღლესი განათლების საფეხური	**მაგისტრატურა**
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით შესაბამისი დონე	**მე-7**
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	**სოციოლოგია და კულტურის კვლევები - 0314** **Sociology and Cultural Studies - 0314**
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	**ქართული**
ECTS კრედიტების რაოდენობა	**120**
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია)	აკრედიტებული **11.11.2011; №288**

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არარის სავალდებულო უცხოქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა კირვალიძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე გავაშელიშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ლობჯანიძე, სსიპ- საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო პროგრამა გენდერის კვლევებში 2005 წელს შეიქმნა და შეიძლება ითქვას, ამ დარგში პირველი და ერთადერთი სამაგისტრო პროგრამაა მთელ კავკასიაში (ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით). პროგრამის ფორმირების საწყის ეტაპს საფუძვლად დაედო მჭიდრო თანამშრომლობა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრს, შემდგომში თსუ გენდერის კვლევის ინსტიტუტს, რატგერსის უნივერსიტეტსა (აშშ, ნიუ ჯერსი) და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (უნგრეთი, ბუდაპეშტი) გენდერის კვლევის პროგრამებს შორის. პროგრამა თავდაპირველად შემუშავდა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ. სწორედ ცენტრი უწევდა მას 2005-2011 წლებში თსუ-სთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე (#79/05 19.11.2008) ადმინისტრირებას. 2013 წლიდან კი პროგრამის განვითარებაში ჩაერთო თსუ გენდერის კვლევის ინსტიტუტი.

გენდერის კვლევების ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ შეისწავლონ გენდერული თანასწორობის საკითხები სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ ჭრილში; მიიღონ ფუნდამენტური ცოდნა ფემინისტურ და გენდერის კვლევის თეორიებში. გენდერის კვლევაში სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს გადასცემს გენდერის, როგორც სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ფენომენის შესახებ უახლეს ცოდნას სხვადასხვა თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების საშუალებით. ამასთან, პროგრამა მიზნად ისახავს გენდერის კვლევაში სტუდენტებისთვის ფუნდამენტური ცოდნის გადაცემით ხელი შეუწყოს სოციალურად რელევანტური და კრიტიკული ცოდნის წარმოებას მოცემულ დარგში და იმავდრიულად, სათანადო კვლევითი და ანალიტიკური უნარების განვითარებით სტუდენტების მომზადებას, როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკულ სფეროებში საქმიანობისთვის.

ბოლო აკრედიტაცია პროგრამას გავლილი აქვს 2015 წელს. 2015 წლიდან დღემდე პროგრამაზე მაგისტრანტების მიღება ოთხჯერ განხორციელდა. გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კვალიფიცური კადრების მომზადებას. მოცემული აკრედიტაციისთვის განახლდა პროგრამა. მისი შინაარსობრივი მხარე გახდა უფრო მრავალფეროვანი. დაემატა ისეთი კურსები, როგორიცაა: ზრუნვის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განზომილებები, ჯანმრთელობის პოლიტიკა, გენდერი და ეკონომიკური პოლიტიკა და ა.შ. რამაც პროგრამის ინტერდისცპლნარულობა კიდევ უფრო გაამყარა. მოხდა მეტი აკადემიური პერსონალის ჩართვა, ასევე ახალი ლექტორების მოზიდვა, მათ შორის თსუ-ს დოტორანტების. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამას ჰყავს ახალი ხელმძღვანელი, რომელიც თანამდებობაზე 2020 წლის ივლისში დაინიშნა.

პროგრამის უნიკალურობისა და ექსკლუზიურობის გათვალისწინებით, აკადემიური პერსონალის, ისევე როგორც, მისი კურსდამთავრებულების მხრიდან გენდერის სფეროში წარმატებული როლის და სოციალური იმპაქტის მხედველობაში მიღებით, პროგრამა თავისი არსებობიდან უკვე 16 წლის შემდეგ იმსახურებს იყოს უფრო დამაჯერებელი და ვითარდებოდეს პროგრესულად.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამის - *გენდერის კვლევების* შესაფასებლად აკრედიტაციის ვიზიტი ჩაინიშნა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 01 ნეომბერის №1163465 ბრძანების თანახმად.

აკრედიტაციის ვიზიტისთვის ექსპერტთა ჯგუფმა მზადება დაიწყო უსდ-ს მიერ მომზადებული მასალებისა და დოკუმენტაციების ჯეროვანი გაცნობით. მიგნებებისა და შეფასებების ურთიერთგაზიარების, ღია კითხვებზე მოსაზრებების გაცვლისა და შეჯერების მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა დაგეგმა მოსამზადებელი შეხვედრა. შეხვედრამ ასევე ხელი შეუწყო ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი ინტერვიურების პროცესის ეფექტურ წარმართვას ჯგუფის მხრიდან. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა აზრი გამოთქვეს წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელოვან ასპექტებზე, განისაზღვრა ძირითადი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუების მიმდინარეობისას.

აკრედიტაციის ვიზიტი ორგანიზებული იყო ყველა სათანადო პირობის დაცვით. ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა დღის წესრიგით გათვალისწინებული სესიების მიხედვით. ადმინისტრაცულმა და აკადემიურმა პერსონალმა უზრუნველყო კომისიის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ოპერატიული წარდგენა. ხაზი უნდა გაესვას, რომ შეხვედრები წარიმართა კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში. ინტერვიუები ჩატარდა ღიად და გულახდილად, რამაც ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა მისცა ზედმიწევნით და ამომწურავად შეეჯერებინათ დოკუმენტური მასალები რეალურ ვითარებასთან.

აკრედიტაციის ჯგუფის წევრები ვიზიტის ფარგლებში შეხვდნენ პროგრამაში ჩართულ სხვადასხვა მხარეს. მათ შორის, ექსპერტთა ინტერვიუები წარიმართა ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლებთან. ინტერვიუები ჩატარდა ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან. აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. შეხვედრები განხორციელდა როგორც, პროგრამის დოქტორანტებთან, ისე, გარე დაინტერესებულ მხარეებთან, კერძოდ, კურსდამთავრებულებსა და პოტენციურ დამსაქმებლებთან.

აკრედიტაციის ვიზიტის ონალინ ფორმატიდან გამომდინარე სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსის დათვალიერება ვერ მოხდა დისტანციურ რეჟიმში.

შეხვედრებზე ინტერვიუების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ საკითხებს, რომელიც დამატებით განმარტებებსა და დაზუსტებას მოითხოვდა ექსპერტების ხელთ არსებული პროგრამის ყველა დოკუმენტების გაცნობის მიუხედავად. გარდა ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაციისა, ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის ხელმძღვანელებისგან, ასევე, გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტები მიგნებების დროს გაჩენილი საკითხების დასაზუსტებლად. ინტერვიუს პროცესში ყურადღება გამახვილდა პროგრამის მიზნებსა და შინაარსზე, პროგრამის კურუკულმზე, ხარისხის უზრუნველყოფის არსებულ მექანიზმებზე, სილაბუსებზე და ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე.

სააკრედიტაციო ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯერეს ინტერვიუს შედეგები, რის შემდეგაც, ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ თითოეულ სტანდარტთან დაკავშირებით მიგნებები გააცნო უმაღლესი სასწავლო დაწესებულების წარმომადგენლებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია ხუთიდან ერთი სტანდარტის (კერძოდ, სტანდარტი #3) მოთხოვნებთან, მეტწილად შესაბამისობაშია ორი სტანდარტის (სტანდარტი #4, #5) მოთხოვნებთან და ნაწილობრივ შესაბამისობაშია ერთი სტანდარტის (სტანდარტი #2) მოთხოვნებთან.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად დგინდება, რომ გენდერის კვლევების ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამის დასახული მიზნები გარკვეულწილად შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და ფაკულტეტის მიზნების, ხედვების და სტრატეგიული განვითარების გეგმებთან. თუმცა, პროგრამის სტრუქტურისა და კურიკულუმის გათვალისწინებით რთულია ითქვას, რომ პროგრამაში დასახული ცალკეული მიზნები რეალისტური და მიღწევადია. მაგალითად, პროგრამა ვერ მიაღწევს "დასავლური სტანდარტების შესაბამისი", "საერთაშორისო კომპეტენციებზე დაფუძნებული" გენდერის კვლევითი და ანალიტიკური უნარების განვითარებას სტუდენტებში, პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი (ინტერდისციპლინური, ფართო სპექტრის) მეთოდოლოგიების სწავლების გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის ასახული ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით განვითარებული სტრატეგია, აკრედიტაციის ვიზიტისას განხორციელებულ ინტერვიუებში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ აღინიშნა ამ მიმართულებით სამომავლო გეგმების არსებობა.სამაგისტრო პროგრამის - 'გენდერის კვლევები' უზრუნველყოფს, რომ

დაინტერესებული სტუდენტისთვის ინფორმაცია იყოს საჯარო. პროგრამის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, არის საჯარო და ხელმისაზვდომია დაინტერესებული პირისთვის.

რაც შეეხება პროგრამაში განსაზღვრულ შედეგებს; სამაგისტრო პროგრამაში 14 სწავლის შედეგია იდენტიფიცირებული და დასახულ ორ მიზანთან შესაბამისობის პრინციპითაა განსაზღვრული. სათანადო დოკუმენტების შესწავლის სადუძველზე დგინდება, რომ პროგრამის შედეგები გარკვეულ პუნქტებში არარეალისტურია და შესაბამისად, კითხვები ჩნდება ცალკეული შედეგის განხორციელებასთან დაკავშირებით. მაგალითად, მე-8 შედეგი ითვალისწინებს, *უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით* კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას; როგორ აღწევს პროგრამა ამ შედეგს, იმ პირობებში, როდესაც კურიკულუმში არ არის გათვალისწინებული მონაცემთა ანალიზის მეთოდოლოგიებისა და ტექნიკების სათანადო სწავლება (იხილეთ ქვემოთ სტანდარტი # 2. ქვესტანდარტი # 2.2.) შესაბამისი სასწავლო კურსებით. იმისათვის, რომ პროგრამამ მიაღწიოს დასახულ შედეგებს, ანუ, სრულფასოვანი, მით უფრო, *ინოვაციური სამეცნიერო კვლევის* ჩატარებისთვის *უახლესი მეთოდებით* კურსდამთავრებულს გამოუმუშაოს კომპეტენციები, ამისთვის პროგრამამ კურიკულუმში უნდა დაემატოს და გააძლიეროს კვლევის მეთოდების მიმართულებით შესაბამისი სასწავლო კურსები, რომელიც ამჟამად არ არსებობს კურიკულუმში. იმისთვის, რომ სტანდარტი #1.2 შესაბამისად, შედეგები ასახევდეს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას. ასევე, სტანდარტი # 2.2. შესაბამისად, შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სამაგისტრო პროგრამის აღწერილობაშია განსაზღვრული და შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. თუმცა, სპეციალობაში საგამოცდო საკითხების განსაზღვრული რაოდენობის მიუხედავად, ჩნდება კითხვა რამდენად რეალისტურია პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვა. მნიშვნელოვანია, რომ ვებგვერდზე სტუდენტისთვის არსებობდეს წინასწარ ასევე ინფორმაცია საჯაროდ და გამჭვირვალედ, თუ რა კრიტერიუმებით მოხდება აპლიკანტის შეფასება როგორც გასაუბრებაზე, ისე, სპეციალობის გამოცდაზე.

კურიკულუმის სტრუქტურაში ასახულია სავალდებულო კურსები, რომლის ფარგლებში წარმოდგენილია, როგორც გენდერის კვლევის ფუნდამენტური და აქტუალური ისე, ინტერდისციპლინური მიმართულებით საგნები. ამასთან, კურიკულუმის სტრუქტურა მოიცავს სოციალური კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების კურსებს. თუმცა, თუ უშუალოდ მეთოდების კურსების შანაარსებს ვნახავთ, გარკვეულწილად ბუნდოვანია, რამდენად პასუხობს მათი შინაარსი მისანიჭებელი კვალიფიკაციის მოთხოვნებს, რაც თავის მხრივ, აქტუალურს ხდის საკანონმდებლო მოთხოვნების დარღვევის საკითხს. პროგრამის მე-6 და მე-8 შედეგის შესაბამისად, სრულფასოვანი, მით უფრო, *ინოვაციური სამეცნიერო კვლევის* ჩატარებისთვის *უახლესი მეთოდებით* პროგრამამ კურიკულუმში უნდა დაამატოს კვლევის მეთოდების მიმართულებით შესაბამისი სასწავლო კურსები, რომელიც ამჟამად არ არსებობს.

სწავლების მეორე საფეხურის (მე-7 დონე) შესაბამისი კომპეტენციების განვითარებისთვის, ასევე, თავის მხრივ, პროგრამის მე-6 და მე-8 შედეგის შესაბამისად, სრულფასოვანი, მით უფრო, ინოვაციური სამეცნიერო კვლევის ჩატარებისთვის უახლესი მეთოდებით, პროგრამამ კურიკულუმში უნდა დაამატოს კვლევის მიმართულებით შესაბამისი კომპეტენციების განმავითარებელი კომპონენტები. შესაბამისი სასწავლო კურსები, რომელიც ამჟამად არ არსებობს კურიკულუმში. იმისთვის, რათა სტანდარტი # 2.2. შესაბამისად, შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაში იყოს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე, სტანდარტი #1.2 შესაბამისად, შედეგები ასახევდეს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას.

რაც შეეხება, ძირითადი სასწავლო კურსებს, მნიშვნელოვანია, რომ სწავლის შედეგები შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს; ასევე, კვლევის მეთოდოლოგიური კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამებოდეს სფეროს აქტუალურ მიღწევებს და ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში; კურსების წინაპირობები რიგ შემთვევაში არ არის განსაზღვრული, მნიშნელოვანია ყველა სილაბუსში აისახოს შესაბამისი წინაპირობები კურსის

შინაარსის შესაბამისად. ასევე, ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ყველა კურსისთვის შეფასების კომპონენტები გაიწეროს კურსის შინაარსისა და წინაპირობების გათვალისწინებით.

მიუხედავად კვლევის მეთოდების არასრული სწავლებისა, პროგრამაში არსებობს ორი სპეციფიური კურსი 'კვლევითი სასწავლო პრაქტიკა/სტაჟირება და პროექტის დიზაინი', რომელიც პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზეა ფოკუსირებული.
პროგრამის ფარგლებში სტაჟირებას ფორმალიზებული და სისტემური ხასიათი აქვს. კერძოდ, ხელშეკრულებები ფორმდება სტაჟირების დროს დამსაქმებელ ორგანიზაციასა და სტუდენტს შორის. ასევე, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ფაქტს, რომ პროგრამას უთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს მისი სპეციფიკისა და კვლევითი პროფილის შესაბამის ორგანიზაციებთან. მესამე სემეტრში კურიკულუმით გათვალისწინებული „სამაგისტრო კვლევის დიზაინი", სტუდენტებს საშუალებას აძლევს ასევე დაამუშაონ და შეასრულონ სამაგისტრო კვლევა.

სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და სხვა თანდართული დოკუმენტების შესწავლის შედეგად, ისევე, როგორც აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუებით აკადემიურ პროცესში ჩართულ სხვადასხვა პერსონასთან, ირკვევა, რომ თითოეული სასწავლო კურსის სწავლების მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. ასევე, ძირითადად შეესაბამება კურსის შინაარსს და მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევაზე. სწავლება-სწავლისას გამოყენებული შეფასების სისტემაში ჩაშლილია შემადგენელი კომპონენტები. თუმცა, რიგ შემთვევაში ჩნდება კითხვები სწავლების მეთოდებისა და შეფასების მეთოდის შესაბამისობასთან დაკავშირებით კურსის სპეციფიკასა და მიზნებთან (დეტალურად იხილეთ სტანდარტი # 2.5).

სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტთა შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად. შეფასების კრიტერიუმები გაწერილია სილაბუსებში, მათზე ხელმისაწვდომობა სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია უსდ-ს შიდა ელექტრონული მართვის სისტემაში.

როგორც სტუდენტებმა, ისე მოწვეული და აკადემიური პერსონალი აღნიშნავს, სტუდენტებთან კომუნიკაცია და კოსნულტაცია ხორციელდება ელ. ფოსტის ან შიდა ელექტრონული სისტემის მეშვეობით, საჭიროების შემთხვევაში კი შეხვედრა ორგანიზდება ადგილზე. საკონსულტაციო შეხვედრები განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მეორე და მესამე სემესტრში, როდესაც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ რჩევა მომავალი სამაგისტრო ნაშრომის თემატიკასა და სტაჟირების ადგილის მიმართულებით.

უსდ-ს მიერ მოწოდებული დოკუმენტაციაზე დაყრდნობით (ხელმძღვანელთა CV-ები, პუბლიკაციები) საფუძველზე, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამის თითოეულ მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი. თუმცა, გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ აკადემიური პერსონალის უმრავლესობა მომიჯნავე დისციპლინების წარმომადგენელია შესაბამისი კვლევითი ინტერესებით, გენდერის მიმართულებას მათი კვლევები ნაკლებად უკავშირდება, მით უფრო, ბოლო წლების განმავლობაში.

გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლის შეფასებასა და შედეგების ანალიზს სისტემატურად აწარმოებს უნივერსიტეტი. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პერსონალის მართვის დეპარტამენტი, რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის პერსონალის მართვასთან დაკავშირებული სამუშაოების ორგანიზებას, კოორდინაციას, კონტროლსა და რეალიზაციას. 2018 წელს განხორციელდა პერსონალის მართვის დეპარტამენტის ორგანიზაციული შეფასება, რომლის საფუძველზეც შემუშავდა რეკომენდაციები სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესებისთვის (მათ შორის, სამსახურის დებულების, პერსონალის სამუშაო აღწერილობების და შეფასების კრიტერიუმების სარეკომენდაციო პროექტები).

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი მაღალი კვალიფიკაციით და სწავლების ხანგრძლივი გამოცდილებით გამოირჩევა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა მომიჯნავე დისციპლინის წარმომადგენელია, პროგრამის რამდენიმე პროფესორი კი სხვა სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელია. გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამის ინტერდისციპლინარულობის გათვალისწინებით მომიჯნავე დისციპლინის აკადემიური პერსონალი სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი ცოდნის გამზიარებელია, თუმცა თვალშისაცემია, რომ ბოლო წლების განმავლობაში

აღნიშნული პროფესორების სამეცნიერო მიღწევები ნაკლებად უკავშირდება გენდერის მიმართულებას. თუმცა, პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად პროგრამაში უნდა გაიზარდოს გენდერის კვლევის კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა (იგულისხმება ძირითადი და არა მოწვეული);

თანდართული დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანს, რომ უნივერსიტეტი აწარმოებს სამეცნიერო/კვლევით საქმიანობას. მაგალითად, 2016 წელს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე „მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის" ფარგლებში განხორციელდა კონკურსი, რომელში მონაწილეობაც შეეძლო ფაკულტეტის პროფესორებს, სწავლების სხვადასხვა დონიდან წარმოდგენილი არანაკლებ ორი სტუდენტის ჩართვით. ტარდება სხვადასხვა კონფერენციები, მაგალითად, ყოველწლიური საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენცია და სტუდენტთა საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია.

გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამა სარგებლობს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ბიბილიოთეკებით. პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელება ხდება თსუ-ს II კორპუსში სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ბაზაზე, სადაც განთავსებულია სოციალურ მეცნიერებათა ბიბლიოთეკა და საკლასო ოთახი. პროგრამის სტუდენტებს აქვთ წვდომა თსუ-ს უფასო საბიბლიოთეკო რესურსებზე. ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტის აუდიტორიების ძალიან მცირე ნაწილია პროექტორით აღჭურვილი, რაც სწავლის პროცესის ეფექტიანობისთვის ხელისშემშლელი ფაქტორია. ზოგადად უნდა აღნიშნოს თვითშეფასების დოკუმენტში მატერიალურ-ტექნიკური ჩამონათვალის სიმწირე. რაც შეეხება უშუალოდ პროგრამისთვის განკუთვნილ სასწავლო სივრცეს, ინტერვიების ფარგლებში გამოვლინდა, რომ პროგრამას ერთი აუდიტორია ეთმობა. ბიუჯეტში ჩანს, რომ ამ თანხის უმეტესი ნაწილი პერსონალის ანაზღაურებისთვის არის გამოყოფილი, სამეცნიერო-კვლევის და წარმომადგენლობითი ხარჯის ნაწილში კი ძალიან ცოტა თანხაა დახარჯული. სამეცნიერო-კვლევის განყოფილებაში მოქცეულია წიგნების/ დამხმარე ლიტერატურის შეძენის ხარჯი; ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მივლინება; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები;

თსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება სამსახურის დებულებით. სამსახური შედგება ორი განყოფილებისაგან - ინსტიტუციური განვითარებისა და ავტორიზაციის განყოფილება; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილება. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის მუდმივ შეფასებას.

უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, პროგრამის განმავითარებელ, ე.წ. სიმულაციურ შეფასებას, გარე ექსპერტის შეფასებას და აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთისა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან. აღნიშნული პროცესები უზრუნველყოფს ხარისხის კულტურის ინსტიტუციურ განვითარებას, პროგრამულ კომიტეტებთან ეფექტიან თანამშრომლობას, ასევე დარგობრივ ექსპერტთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და სხვა შესაძლო დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას.

უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ახორციელებს შესაბამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით, ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაანალიზებული თითოეული სტანდარტი, რეკომენდაცია თუ რჩევები კონკრეტული ქვესტანდარტებისთვის შესაბამისადაა წარმოდგენილი. ჯგუფის წევრთა მოსაზრებით,

რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინება ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამის განვითარებას შეუწყობს ხელს.

- **რეკომენდაციები**

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის - *გენდერის კვლევები* - აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგების საფუძველზე, ექპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები, როემელიც პროგრამას დაეხმარება განვითარებაში.

ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები სტანდარტების კონკრეტული კომპონენტების შესაბამისად.

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები

- რეკომენდებულია განისაზღვროს რეალისტური და მიღწევადი მიზნები;

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- რეკომენდებულია მიღწევადი და რეალისტური შედეგების განსაზღვრა, რომელიც აღწერს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას და უნარებს;

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მკაფიოდ მიეთითოს პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისი ყველა საჭირო წინაპირობა;

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების განვითარებისთვის რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში აისახოს კვლევის მიმართულებით კომპონენტები: თვისებრივი მონაცემების ანალიზის და ინტერპრეტაციის მეთოდები, მონაცმეთა (თვისებრივი და რაოდენობრივი) დამუშავება და ანალიზი შესაბამისი კომპიუტერული პროგრამებით;
- მიზანშეწონილია, კურსების წინაპირობები განისაზღვროს და ყველა სილაბუსში აისახოს კურსის შინაარსის შესაბამისად;

2.3. სასწავლო კურსი

- რეკომენდებულია, ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს;
- რეკომენდებულია, კვლევის მეთოდოლოგიური კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამებოდეს სფეროს აქტუალურ მიღწევებს და ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში;
- რეკომენდებულია, რომ ყველა კურსისთვის შეფასების კომპონენტები გაიწეროს კურსის შინაარსისა და წინაპირობების გათვალისწინებით.

სტანდარტი 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- პროგრამაში დასახული მიზნების სრულყოფილად განხორციელების მიზნით, რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობის გაზრდა გენდერის კვლევის კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალით, რომელთაც აქვთ დარგში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია პროგრამაში გაიზარდოს გენდერის კვლევის კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

- რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალის შორის ბალანსი და დატვირთვა უზრუნველყოფდეს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას, რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის მდგრადობა.

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

- პროგრამის მიზნების ეფექტიანად უზრუნველყოფისთვის უნდა მოხდეს პროგრამის ფინანსური მდგრადობის ზრდა. მნიშვნელოვანია გაიზარდოს პროგრამისთვის განკუთვნილ ბიუჯეტში გამოყოფილი თანხა, განსაკუთრებით სამეცნიერო/კვლევის ხარჯის და წარმომადგენლობითი ხარჯის მიმართულებით.

სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამაზე დაკვირვების ფარგლებში, შეიმუშავოს რელევანტური კრიტერიუმები და სწავლის შედეგების შეფასების მდგრადი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას და შემდგომი განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის - გენდერის კვლევები - აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგების საფუძველზე, ექპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა რჩევები, რომელიც პროგრამას დაეხმარება განვითარებაში.

ქვემოთ წარმოდგენილია რჩევები სტანდარტების კონკრეტული ქვესტანდარების შესაბამისად:

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- სასურველია, წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია მკაფიოდ და საჯაროდ, თუ როგორ მოხდება თითოეული კომპონენტისთვის ქულათა რაოდენობის მინიჭება (გასაუბრება, სპეციალობის გამოცდა).

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- სასურველია კურიკულუმს დაემატოს ასევე მამაკაცის, და მასკულინობის მიმართულებით თეორიული და კვლევითი კურსები.
- სასურველია, რომ კურსი *ქვიარ თეორია*, ძირითადი საგნის სტატუსით მიეწოდოს მაგისტრანტებს.

2.3. სასწავლო კურსი

- სასურველია, სილაბუსებში კვირების მიხედვით გაიწეროს თემატიკა, დაკონკრეტდეს განსახილველი საკითხები;

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

- სასურველია სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდების შესაბამისობა კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან უზრუნველყოფილი იყოს ყველა კურსის ფარგლებში;

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამის მდგრადობისთვის სასურველია, რომ გაიზარდოს პროგრამაში ჩართული დოქტორების რიცხვი.
- სასურველია ინტერნაცინალიზაციის კუთხით მუშაობა, სწავლებისა და კვლევის მიმართულებით უცხოელი პროფესორების ჩართვა.

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- სასურველია უშუალოდ გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისების ღონისძიებების გააქტიურება, რაც მათ პროფესიულ განვითარებაში პოზიტიურ წვლილს შეიტანდა.

4.3. მატერიალური რესურსი

- სასურველია აუდიტორიების აღჭურვა სწავლის პროცესისთვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

- სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არ შემოიფარგლოს მხოლოდ ფორმალური მექანიზმების არსებობით და უფრო გააქტიურდეს ურთიერთთანამშრომლობა პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის კოლეგიალური განმავითარებელი შეფასება, ე.წ. „აკრედიტაციის სიმულაციური პროცესი“

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის და პროგრამის დამატებითი დოკუმენტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ გენდერის კვლევების ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამის დასახული მიზნები გარკვეულწილად შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და ფაკულტეტის მიზნების, ხედვების და სტრატეგიული განვითარების გეგმებთან. პროგრამაში ასახულია თუ რა კომპეტენციების და ცოდნის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში; პროგრამის სტრუქტურისა და კურიკულუმის გათვალისწინებით რთულია ითქვას, რომ ცალკეული მიზნები რეალისტური და მიღწევადია. მაგალითად, პროგრამა ვერ მიაღწევს “დასავლური სტანდარტების შესაბამისი”, “საერთაშორისო კომპეტენციებზე დაფუძნებული” გენდერის კვლევითი და ანალიტიკური უნარების განვითარებას სტუდენტებში, პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი (ინტერდისციპლინური) ფართო სპექტრის მეთოდოლოგიების სწავლების გარეშე. ასევე, იმ პირობებში, როდესაც პროგრამა არ ითვალისწინებს თვისებრივი მონაცემების ანალიზისა და ინტერპრეტაციის მეთოდოლოგიების სასწავლო კურსებს (უფრო დეტალურად, იხილეთ ქვემოთ სტანდარტი # 2.). ამასთან, პროგრამის კურიკულუმი, ასევე, არ ითვალისწინებს თვისებრივი მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის კომპიუტერული პროგრამის სწავლებას. აღსანიშნავია, რომ პროგრამის დოკუმენტებში წარმოდგენილია ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესასწავლად განხორციელებული კვლევის შედეგები, რომელიც, მიუხედავად შეზღუდული მეთოდოლოგიური და შერჩევითი მხარეებისა, რის შესახებაც კვლევის აღწერაშია მითითებული, პროგრამა იდენტიფიცირებას ახდენს ძირითადი მოთხოვნების, რაც კურსდამთავრებულების (ზოგადად თსუ-ს) მიმართ შრომის ბაზარზე იკვეთება. ერთერთი ასეთია კურსდამთავრებულის პრაქტიკულ უნარებზე არსებული მოთხოვნა. თუმცა, პროგრამის წარმოდგენილ სტრუქტურაში, კურიკულუმსა და სასწავლო კურსების სილაბუსებში პრაქტიკული, კვლევითი უნარების გამოუჯობესებისკენ მიმართული კომპონენტები ერთერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ბაზარზე არსებული მოთხოვნების კვლევისთვის შექმნილი ინსტრუმენტი (სტრუქტურირებული კითხვარი) აჩენს კითხვებს, რამდენადაც ძირითადად

ფოკუსირდება თსუ-ს (ზოგადად) კურსდამთავრებულებზე და არ არის მიმართული უშუალოდ გენდერის კვლევების მიმართულებით ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესწავლაზე.

პროგრამის წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის ასახული ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით განვითარებული სტრატეგია, თუმცა, აკრედიტაციის ვიზიტისას განხორციელებულ ინტერვიუებში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ აღინიშნა ამ მიმართულებით სამომავლო გეგმების არსებობა.

სამაგისტრო პროგრამის - 'გენდერის კვლევები' - შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, საჯარო და ხელმისაზვდომია დაინტერესებული პირისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსუ-ს მისია;
- თსუ-ს სტრატეგიული განვითარები გეგმა;
- ფაკულტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სამაგისტრო პროგრამის აღწერა;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია განისაზღვროს რეალისტური და მიღწევადი მიზნები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამაში 14 სწავლის შედეგია იდენტიფიცირებული და დასახულ ორ მიზანთან შესაბამისობის პრინციპითაა განსაზღვრული. პროგრამის დასახული შედეგები გარკვეულ პუნქტებში არარეალისტურია და შესაბამისად, კითხვები ჩნდება ცალკეული შედეგის განხორციელებასთან დაკავშირებით. მაგალითად, სწავლის მე-2 შედეგი (პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება 5.3) გულისხმობს *გენდერულ საკითხთა შესასწავლად ემპირიული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელებას თვისებრივი და/ან რაოდენობრივი კვლევის მეთოდებისა და ანალიტიკური მიდგომების ინოვაციური სინთეზით;* ასევე, კურიკულუმის რუქაში გაწერილი მე-6 შედეგი გულისხმობს '*სრულფასოვანი და ინოვაციური სამეცნიერო და ანალიტიკური კვლევის ჩატარებას'.* ასევე, მე-8 შედეგი ითვალისწინებს, *უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით* კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას*;* როგორ აღწევს პროგრამა ამ შედეგს, იმ პირობებში, როდესაც კურიკულუმში არ არის გათვალისწინებული მონაცემთა ანალიზის მეთოდოლოგიებისა და ტექნიკების სათანადო სწავლება (იხილეთ ქვემოთ სტანდარტი 2.2.) შესაბამისი სასწავლო კურსებით.

გარდა ამისა, კითხვები ჩნდება ამ შედეგების (მე-6, მე- 8) შეფასებასთან დაკავშირებით მაგალითად, *გენდერისა და განვითარების* კურისის ფარგლებში. კურიკულუმის, სასწავლო კურსის სილაბუსების და სხვა დამატებითი დოკუმენტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ არარეალისტურია მოცემული კურსის შინაარსის გათვალისწინებით *სრულფასოვანი ინოვაციური კვლევის და უახლესი მეთოდების გამოყენების* (და მათი '*ინოვაციური სინთეზირების')* უნარების გამომუშავების შედეგზე გასვლა.

ასევე, კითვებს აჩენს, თუ როგორ ხდება მე-3 შედეგის (გენდერული კვლევების საკვლევად ინტერდისციპლინური მიდგომის სპეციფიკის გაცნობიერება და უპირატესობის აღიარება) შეფასება კურსების - *სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდები* - ფარგლებში, რომელიც ამ მიმართულებით არ ითვალისწინებს უნარებისა და ცოდნის გამომუშავებას. უფრო კონკრეტულად, კურსი არ ითვალისწინებს გენდერის კვლევის ფართო ინტერდისციპლინური სპექტრის მომცველი მიდგომების (თუნდაც, მეთოდებისა და მეთოდოლოგიების, მათი გამოყენებით გენდერის მიმართულებით კვლევების, შემთხვევების) შესწავლას, იმისთვის, რომ დადგინდეს მათ შორის ანალიტიკური უპირატესობების განსაზღვრა.

მიღწევასთან დაკავშირებით სათუო ხდება თუ როგორ მიიღწევა არსებული კურიკულუმის ფარგლებში მე-4 შედეგი, ანუ, პრობლემის გადაჭრაზე მიმართული ცოდნისა და უნარების გამომუშავება კურსდამთავრებულებში; რომ არ ვახსენოთ ამ შედეგის შეფასებისთვის

იდენტიფიცირებული საგანი *კვლევითი პროექტის დიზაინი,* რომელიც მიზანდ ისახავს უშუალოდ კვლევის სწორად დაგეგმვის სწავლებას და არ გულისხმობს შემთხვევების ანალიზსა და მათ ანალიტიკურ ინტერპრეტაცია/გადაჭრას. მე-5 შედეგი გულისხმობს, '*მეთოდების დამოუკიდებლად შერჩევას, მათ ინოვაციური გამოყენებას და მიღებული მონაცემების სათანადო ანალიზს',* თუმცა, როგორ მიიღწევა ''სათანადო ანალიზი'' შესაბამისი მეთოდების სასწავლო კურსის არ არსებობის პირობებში, ისევე, როგორც ინოვაციური მიმართულებით მეთოდების სწავლების გარეშე, ბუნდოვანი ხდება. შესაბამისად, ბუნდოვანი ხდება ამ შედეგების შეფასება რატომ ხდება მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომით. ინტერვიუებმა აკადემიურ პერსონალთან აჩვენა, რომ მათი ცოდნა სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით გარკვეულ შემთვევებში სრულია, რიგ შემთხვევაში ასევე მწირია და რიგ შემთხვევებში არ არსებობს; შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით ძალისხმევის გაძლიერება. კურიკულუმის რუქაში პროგრამის მე-6 შედეგი გულისხმობს - *"სრულფასოვანი და ინოვაციური სამეცნიერო და ანალიტიკური კვლევის ჩატარება"*-ს. ასევე, მე-8 შედეგი გულისხმობს - *"კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით";* სრულფასოვანი, მით უფრო, *ინოვაციური* სამეცნიერო კვლევის ჩატარებისთვის უახლესი მეთოდებით პროგრამამ კურიკულუმში უნდა დაამატოს და გააძლიეროს კვლევის მეთოდების მიმართულებით შესაბამისი სასწავლო კურსები, რომელიც ამჟამად არ არსებობს. იმისთვის, რათა სტანდარტი #1.2 შესაბამისად, შედეგები ასახევდეს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას. ასევე, სტანდარტი # 2.2. შესაბამისად, შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო; • სამაგისტრო პროგრამის აღწერა და სილაბუსები; • პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა; • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა; • ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია მიღწევადი და რეალისტური შედეგების განსაზღვრა, რომელიც აღწერს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას და უნარებს;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სამაგისტრო პროგრამის აღწერილობაშია განსაზღვრული და შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენნილ მოთხოვნებთან. უნივერსიტეტის ვებგვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომია პროგრამაზე მიღების წინაპირობები. ამასთან, სპეციალურად ორგანიზებულ ღია კარის დღეზე პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებს შესაძლებლობა აქვთ დაესწრონ და მიიღონ პროგრამის შესახებ ინფორმაცია უშუალოდ პროგრამაშ ჩართული აკადემიური პერსონალისგან. პროგრამის წინაპირობას არ წარმოადგენს სოციალურ მეცნიერებებში ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი. ეს უკანასკნელი მარტოოდენ სასურველად განისაზღვრება. თუმცა, აპლიკანტს მოეთხოვება სპეციალოაში გამოცდის ჩაბარება, რომელიც 40 ქულით ფასდება. სპეციალობაში საგამოცდო საკითხების განსაზღვრული რაოდენობის მიუხედავად, ჩნდება კითხვა რამდენად რეალისტურია პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვა. მნიშვნელოვანია, რომ ვებგვერდზე წარმოდგენილი იყოს ასევე ინფორმაცია საჯაროდ და გამჭვირვალედ, თუ რა კრიტერიუმებით მოხდება აპლიკანტის შეფასება როგორც გასაუბრებაზე, ისე, სპეციალობის გამოცდაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდი; • საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი; • სამაგისტრო პროგრამის აღწერა; • ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მკაფიოდ მიეთითოს პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისი ყველა საჭირო წინაპირობა;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია მკაფიოდ და საჯაროდ, თუ როგორ მოხდება თითოეული კომპონენტისთვის ქულათა რაოდენობის მინიჭება (გასაუბრება, სპეციალობის გამოცდა).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ს გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამა ძირითადად მიყვება საკანონმდებლო მოთხოვნებს, კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს და თსუ-ში შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამა შემუშავდა სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. ჯგუფის შემადგენლობაში ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის გარდა ჩართულები იყვნენ პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავდებულები.

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, რომელთაგან ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კურსები შეადგენს 85 კრედიტს, 5 კრედიტი ეთმობა თავისუფალ

კრედიტს, 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომს. აღნიშნული 85 კრედიტიდან სავალდებულო საგნებს ეთმობა 50 კრედიტი, დანარჩენი 35 კრედიტი კი გადანაწილებულია არჩევით საგნებზე.

კურიკულუმის სტრუქტურაში ასახულია სავალდებულო კურსები, რომლის ფარგლებში წარმოდგენილია, როგორც გენდერის კვლევის ფუნდამენტური და აქტუალური ისე, ინტერდისციპლინური მიმართულებით საგნები. ამასთან, კურიკულუმის სტრუქტურა მოიცავს სოციალური კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების კურსებს. თუმცა, თუ უშუალოდ მეთოდების კურსების შანაარსებს ვნახავთ, გარკვეულწილად ბუნდოვანია, რამდენად პასუხობს მათი შინაარსი მისანიჭებელი კვალიფიკაციის მოთხოვნებს. რაც თავის მხრივ, აქტუალურს ხდის საკანონმდებლო მოთხოვნების დარღვევის საკითხს.

მაგალითად, კურიკულუმში არ არსებობს თვისებრივი მონაცემთა ანალიზის მეთოდების სასწავლო კურსი. არ არსებობს ასევე, რაოდენობრივი მონაცემთა ანალიზის მეთოდების კურსი. თვისებრივი მონაცემების ანალიზის მეთოდების თემატიკას კურსის სილაბუსში - *"თვისებრივი კვლევის მეთოდები",* რომელიც 5 კრედიტისაგან ECTS შედგება, მონაცემთა მოპოვების მეთოდების, კვლევის დიზაინის და სხვა თემებთან ერთად მხოლოდ 4 ლექცია ეთმობა. რაც არ შესააბამება ამ მიმართულებით საჭირო კომპეტენციების განვითარებისთვის განსაზღვრული აქტივობების დაგეგმვასა და შესრულებას.

ასევე, რაოდენობრივი მონაცემთა ანალიზის მეთოდების მიმართულებით თემატიკას 3 ლექცია ეთმობა კურსის "სოციალური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები" სილაბუსში, რომელიც ასევე, 5 ECTS კრედიტისაგან შედგება და მონაცემთა მოპოვების მეთოდების, კვლევის დიზაინის და სხვა თემების სწავლებას ითვალისწინებს. რაც თავისთავად არარეალისტურია ამ მიმართულებით საჭირო კომპეტენციების განვითარების და პროგრამით დასახული შედეგების მიღწევისთვის.

პროგრამის სტრუქტურაში არ არსებობს სასწავლო კურსი - *'თვისებრივი მონაცემთა ანალიზის კომპიუტერული პროგრამა'.* როგორც სამაგისტრო ნაშრომების ასევე, აკრედიტაციის ვიზიტისას კურსდამთავრებულების ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, მაგისტრანტები და კურსდამთავრებულები ძირითადად თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიებს იყენებენ. შესაბამისად, ამ ტიპის მონაცემთა დამუშავების, ანალიზის და ინტერპრეტაციის მეთოდების, ასევე, შესაბამისი კომპიურეტული პროგრამის, სასაწავლო კურსების არარსებობა სერიოზულ პრობლემას ქმნის სტრუქტურის კვალიფიკაციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

გენდერის კვლევების ინტერპრეტაციული მეთოდოლოგიური ფოკუსიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია პროგრამის სტრუქტურაში ცალკე სასწავლო კურსების სახით არსებობდეს "დისკურსის ანალიზი", "დაფუძნებული თეორია", ან, "შემთხვევებს შორისი ანალიზი", ანდა, ამ მიმართულების სხვა მონაცემთა ანალიზის მეთოდოლოგიური კურსები.

სტრუქტურაში არ არის გათვალისწინებული ასევე, რაოდენობრივი მონაცემების დამუშავებისა და სტატისტიკური ანალიზის კომპიუტერული პროგრამის სასწავლო კურსი. მაშინ, როდესაც სწავლის მე-2 შედეგი (პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება 5.3) გულისხმობს *გენდერულ საკითხთა შესასწავლად ემპირიული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელებას თვისებრივი და/ან რაოდენობრივი კვლევის მეთოდებისა და ანალიტიკური მიდგომების ინოვაციური სინთეზით; ასევე, პროგრამის მე-6 შედეგი სრულფასოვანი ინოვაციური კვლევის და უახლესი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს.* კურსის "სოციალური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები" სილაბუსში ორი ლექცია ეთმობა ამ სტატისტიკური პროგრამის შესწავლას, რაც არ გულისხმობს სოფტვერის ტექნიკური შესაძლებლობების სრულყოფილად სწავლებას და სათანადო კომპეტენციების გამომუშავებას სტუდენტებში. გარდა ამისა, კითხვა ჩნდება ამ კურსის სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის მე-7 საფეხურის კვალიფიკაციასთან შესაბამისობასთან დაკავშირებით. ლიტერატურაში მითითებული სახელმძღვანელო - RanjiiT Kumar. 2011. Research Methodology: a step-by-step guide for beginers. New Delhi: Sage Publications. - წარმოადგენს დამწყებთათვის გამიზნულ სასწავლო ლიტერატურას. ანალოგიური იგულისხმება მეორე სახელმძღვანელოსთან მიმართებაში - Alan Bryman. 2012. Social Research Methods (იხილეთ დეტალური არგუმენტი გვ. 17-ზე).

ამასთან, გადახედვას საჭიროებს ამ კურსის სილაბუსში მითითებული ლიტერატურის თემატიკის შესაბამისობა სალექციო თემასთან. აქ მოვიყვანთ ერთ მაგალითს სილაბუსიდან: მე-12 ლექცია, რომელიც *მონაცემთა ერთგანზომილებიან ანალიზს* ეთმობა შესაბამისი ლიტერატურის ველში მიუთითებს შემდეგ ტექსტს /გვერდებს წინგში - RanjiiT Kumar. 2011. Research Methodology: a step-by-step guide for beginers. New Delhi: Sage Publications. Pp. 258-274. მოცემულ გვერდებზე კი განიხილება თემა - ჰიპოთეზების კონსტრუირება.

რაც შეეხება გენდერის თემატურ კურსებს; პროგრამის სტრუქტურაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, გათვალისწინებულია გენდერის ფუნდამენტური ასევე, ინტერდისციპლინური მიმართულებით თემატური საგნები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სტრუქტურაში იკვეთება გენდერის უმეტესად ქალთა კვლევის მიმართულებით სასწავლო კურსები. პროგრამის სტრუქტურისთვის მნიშვნელოვანია, რომ ის ფარავდეს გენდერის, როგორც ქალის კვლევის და ფემინისტური მიმართულებით, ისე მამაკაცის, მასკულინობის, და ქვეარ მიმართულებით თეორიულ და კვლევით კურსებს. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის საგნობრივ ბადეში არსებობს კურსი - *ქვიარ თეორია*, რომელიც მნიშვნელოვანია კურიკულუმის არა არჩევით არამედ, ძირითადი საგნის სტატუსით მიეწოდოს მაგისტრანტებს. კურსის 'გენდერის და ფემინისტური თეორიები' სილაბუსში მხოლოდ ერთი თემა ეთმობა გენდერის, როგორც სოციაური კონსტრუქტის საკითხს, ხოლო სხვა დანარჩენი თემები ფემინისტურ თეორიულ საკითხებს. მნიშვნელოვანია ჯეროვანი ყურადღება დაეთმოს გენდერის მრავალგანზომილებიან კონცეპტუალურ ანალიზს, მათ შორის ასევე ინტერსექციონალურ ჭრილში.

პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები ძირითადად თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ცალკეულ შემთხვევებში არ არის ადეკვატური, ასევე, რამდენადაც კვლევის

მეთოდების (ანალიზი და დამუშავება) სწავლება არასრულად ხდება, შესაბამისად, ამ წინაპირობის ჩადება შემდგომ კომპონენტზე დაშვებისთვის სრულად ლოგიკური არ არის. სწავლების მეორე საფეხურის (მე-7 დონე) შესაბამისი კომპეტენციების განვითარებისთვის, ასევე, თავის მხრივ, პროგრამის მე-6 და მე-8 შედეგის შესაბამისად, სრულფასოვანი, მით უფრო, ინოვაციური სამეცნიერო კვლევის ჩატარებისთვის უახლესი მეთოდებით, პროგრამამ კურიკულუმში უნდა დაამატოს კვლევის მიმართულებით შესაბამისი კომპეტენციების განმავითარებელი კომპონენტები. შესაბამისი სასწავლო კურსები, რომელიც ამჟამად არ არსებობს კურიკულუმში. იმისთვის, რათა სტანდარტი # 2.2. შესაბამისად, შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაში იყოს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე, სტანდარტი #1.2 შესაბამისად, შედეგები ასახევდეს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას. ინტერვიუებიდან გამოჩნდა, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ძირითადი აკადემიური და ზოგიერთი მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, ასევე კურსდამთავრებულები და დამსაქმებელებიც. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდი; • სამაგისტრო პროგრამის აღწერა; • სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები; • ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: • მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების განვითარებისთვის რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში აისახოს კვლევის მიმართულებით კომპონენტები: თვისებრივი მონაცემების ანალიზის და ინტერპრეტაციის მეთოდები, მონაცმეთა (თვისებრივი და რაოდენობრივი) დამუშავება და ანალიზი შესაბამისი კომპიუტერული პროგრამებით; • მიზანშეწონილია, კურსების წინაპირობები განისაზღვროს და ყველა სილაბუსში აისახოს კურსის შინაარსის შესაბამისად;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია კურიკულუმს დაემატოს ასევე მამაკაცის, და მასკულინობის მიმართულებით თეორიული და კვლევითი კურსები. • სასურველია, რომ კურსი *ქვიარ თეორია*, ძირითადი საგნის სტატუსით მიეწოდოს მაგისტრანტებს.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კურიკულუმი წარმოდგენილია, როგორც სავალდებულო კურსებით, რომელიც ძირითადად მოიცავს შესავალ საგნებს გენდერისა და ფემინისტურ თეორიებში და მათ საფუძვლებს. ასევე, არჩევითი კურსებით, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლებს ცოდნა მიღოს გენდერისა და მიგრაციის, გენდერისა და მშვიდობის მშენებლობის, ასევე ეკონომიკური პოლიტიკის და ხელოვნების თეორიების მიმართულებით.

კითხვა ჩნდება, თუ როგორ გადის კურსი - *გენდერი და განვითარება* - პროგრამის მე-6 სწავლის შედეგზე, რომელიც გულისხმობს *სრულფასოვანი და ინოვაციური სამეცნიერო და ანალიტიკური კვლევის ჩატარებას.* მით უფრო, ბუნდოვანი ხდება რამდენად გაზომვადია ეს შედეგი მოცემული კურსის ფარგლებში, რადგან, როგორც სილაბუსიდან ვიგებთ შეფასების ერთერთი კომპონენტის - დასკვნითი გამოცდის (საპროექტო განაცხადის)

შეფასების კრიტერიუმები გულისხმობს: *'პრობლემის სწორად გაანალიზებას, დასმული საკითხების განხილვას ამომწურავად; ტერმინოლოგიური გამართულობას; სტუდენტის ღრმად და საფუძვლიანად ათვისებული ძირითად, და დამხმარე ლიტერატურას'.* შესაბამისად, *სრულფასოვანი და ინოვაციური სამეცნიერო და ანალიტიკური კვლევის ჩატარების* მიმართულებით არ არის გათვალისწინებული ცოდნის და შესაბამისი უნარების გამომუშავება, შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებით. გარდა ამისა, აღნიშნული კურსი არ ითვალისწინებს წინაპირობად კვლევის მეთოდების ცოდნას. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, როგორ მიიღწევა ამ კურსის ფარგლებში შედეგი, რომელიც *სრულფასოვან და ინოვაციური სამეცნიერო და ანალიტიკური კვლევის ჩატარებას გულისხმობს.* ასევე, ჩნდება კითხვა, მოცემული კურსი როგორ გადის მე-8 სწავლის შედეგზე, როდესაც შესაბამისი ცოდნას არ იღებს სტუდენტი ამ კურსის ფარგლებში (იხილეთ კურსის სილაბუსი) და არც წინაპირობის სახით აქვს მითითებული ამ უნარის სხვა კურსზე გამომუშავება.

კურიკულუმის რუქის თანახმად, მე-8 სასწავლო შედეგზე, რომელიც გულისხმობს - *"კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით"* - გადის კურსი "გენდერის და ფემინისტური თეორიები". ირკვევა, რომ კურსის ფარგლებში არ ხდება კვლევის უახლესი მეთოდების სწავლება. ასევე, კურსი წინაპირობად არ დებს *კვლევის მეთოდების* რომელიმე კურსს. შესაბამისად, თუ როგორ ანხორციელებს სტუდენტი კვლევას დამოუკიდებლად უახლესი მეთოდების გამოყენებით, საკმაოდ ბუნდოვანი და არეალისტური რჩება.

მით უფრო არარეალისტური ხდება აღნიშნული მიზნის მიღწევა, როდესაც ერთერთი კომპონენტი - საბოლოო კვლევითი ნაშრომი, ავალდებულებს სტუდენტს ემპირიული მონაცემების შეგროვებას და ანალიზს. იმ პირობებში, როდესაც, ამ მეთოდების შესწავლას არ ითვალისწინებს კურსი, და არც წინაპირობად განსაზღვრავს შესაბამის ცოდნის გამომუშავებაზე ფოკუსირებული კურსების გავლის აუცილებლობას. აღნიშნულ კურსში, ასევე, შეუძლებელი ხდება სასწავლო მასალიდან თემების იდენტიფიცირება კვირების მიხედვით, რაც ჩვენს შემთვევაში, თავისთავად ართულებს კურსის შეფასებას, ხოლო, სტუდენტისთვის ადეკვატურ დაგეგმვას სწავლის პროცესის.

კურსი - *'სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდები'* კურიკულუმის რუქაზე მონიშნულია მე-2, მე-5, და მე-7 სწავლის შედეგზე. თუმცა, კითხვები ჩნდება, თუ რეალურად რამდენად გადის შესაბამის შედეგზე მოცემული კურსი. მე-2 შედეგი გულისხმობს, რომ მაგისტრანტი კურსის გავლის შემდეგ '*განსაზღვრავს გლობალური, რეგიონალური და ლოკალური უთასნაწოროების მიზეზებს, მათ შედეგებს და მათი ეფექტურად <u>გადაჭრის გზებს</u>';* მოცემულ კურსის ფარგლებში არ ხდება შესაბამისი შინაარსის ცოდნისა და უნარების გადაცემა, რამდენადაც, მხოლოდ კვლევის მეთოდების სწავლებას ისახავს მიზნად კურსი. ამასთან, კურსი ისწავლება სასწავლო სახელმძღვანელოებით კვლევის მეთოდების და არ ითვალისწინებს საერთაშორისო თუ ადგილობრივი კვლევების (შემთხვევების) ანალიზს. ასევე, არარეალისტურია მე-5 შედეგის მიღწევა, რომელიც გულისხმობს - *საერთაშორისო და ადგილორივი ფემინისტური ნაზრევის უახლოეს მიღწევებზე დაყრდნობით ახალი და ორიგინალური იდეების განვითარებას გენდერული და ფემინისტური პერსპექტივის გამოყენებით* - აღნიშნული კურსის ფარგლებში. მით უფრო, როდესაც კურსი წინაპირობების გარეშეა და არ არის კურსში სავალდებულოდ განსაზღვრული ამ შედეგის შინაარსის შესაბამისი კურსების გავლის აუცილებლობა; მე-7 შედეგი გულისხმობს - *უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებას;* მოცემული კურსის ფარგლებში არ ხდება შემთხვევების შესწავლა და ანალიზი, მათი გადაწყვეტის გზების იდენტიფიცირება და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით გადაიხედოს პროგრამის სილაბუსებში განსაზღვრული შედეგების შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან.

სასწავლო კურსის სილაბუსში - *კვლევითი სემინარი - პროექტის დიზაინი,* მხოლოდ ერთი ლექცია ეთმობა თვისებრივი მონაცემების კოდირების მეთოდის და მონაცემთა ინტერპრეტაციული სტრატეგიები-ს სწავლებას, რაც არარეალისტურს ხდის შესაბამისი უნარების გამომუშავებას. მიუხედავად იმისა, რომ მას მოსდევს კიდევ ერთი საათი დათმობილი პრაქტიკულ დავალებისთვის (ინტერვიუს ანალიზი). ინტერვიუს დროს აკადემიურ პერსონალთან აღნიშნული კურსი დასახელდა, როგორც ერთერთი კურსი, რომლის ფარგლებშიც ისწავლება თვისებრივი მონაცემთა დამუშავების მეთოდები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ კურსის მიზანს (სილაბუსის თანახმად) არ წარმოადგენს უშუალოდ თვისებრივი მონაცემის ანალიზის მეთოდების სწავლება, არამედ, როგორც სილაბუსშია განსაზღვრული - *"კურსის მიზანია სტუდენტებს სიღრმისეულად განუვითაროს ის უნარები, რომლებიც მათ სჭირდებათ სამაგისტრო ნაშრომის მოსამზადებლად და სამეცნიერო კვლევის სწორად დასაგეგმად".*

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ როგორც აკრედიტაციის ვიზიტის დროს უშუალოდ ამ კურსის წამყვანმა მოწვეულმა პროფესორმა განაცხადა, იგი თვისებრივი მონაცემთა ანალიზის მეთოდებს არ ასწავლის სტუდენტებს. ამგვარი შეუსაბამო და წინააღმდეგობრივი შინაარსების გათვალისწინებით, რომელიც თვისებრივი მონაცემების ანალიზის სწავლებასთან დაკავშირებით ინტერვიუებში გამოიკვეთა, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია პროგრამაში *თვისებრივი მონაცემების ანალიზის მეთოდები*- ს სპეციალური სასწავლო კურსის დამატება, რომელსაც ასევე, შესაბამისი ცოდნის მქონე და პრაქტიკული გამოცდილების აკადემიური პერსონალი გაუძღვება.

ასევე, გადასახედია სასწავლო კურსის სილაბუსში - '*კვლევითი სემინარი - პროექტის დიზაინი'* მერვე თემად განსაზღვრული *თვისებრივი მონაცემთა ანალიზი - ანალიტიკური სტრატეგიები*-ს ველში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა. კერძოდ, *Uwe Flick (2014) The SAGE Handbook of Qualitative Data Analysis.* გვ. *1-19.* აღნიშნულ წიგნში მითითებული გვერდები (1-19) ეთმობა წიგნის ნაწილების ზოგად მიმოხილვას, რაც სტანდარტულად წინ ერთვის ყველა სახელმძღვანელოს და არ ემსახურება სასწავლო მიზნებს. შესაბამისად, არარეალისტურია მითითებულ გვერდებზე არსებული თემატიკით კურსის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა.

კურსების *"სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდები", "სოციალური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები"* ფარგლებში მე-7 საფეხურის შესაბამისი კომპლექსური შინაარსის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ძირითად სასწავლო სახელმძღვანელო(ებ)ს დაემატოს განხილული მეთოდებით განხორციელებული აქტუალური საერთაშორისო კვლევები გენდერის მიმართულებით. მაგალითად, სოციალური კვლევის მეთოდებში ძალიან კარგი შესავალი სახელმძღვანელოა Alan Bryman-ის - Social Research Methods. შესავალი სახელმძღვანელოებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკის შესაბამისად, ეს წიგნიც არ ითვალისწინებს დისკუსიას სპეციფიური პრაქტიკული ქეისების შესახებ. მიუხედავად სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მაგალითებისა, რომელიც არ გულისხმობს სიღრმისეულ და კრიტიკულ ანალიზს, რაც სწავლების მე-7 საფეხურისთვის სპეციფიური და შესაბამისია. კომპონენტი # 2.3. შესაბამისად, სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა მნიშვნელოვანია შეესაბამებოდეს სფეროს აქტუალურ მიღწევებს; ასევე,

ითვალისწინებდეს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში და უზრუნველყოფდეს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი;
- სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- კურიკულუმის რუქა;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს;
- რეკომენდებულია, კვლევის მეთოდოლოგიური კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამებოდეს სფეროს აქტუალურ მიღწევებს და ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში;
- რეკომენდებულია, რომ ყველა კურსისთვის შეფასების კომპონენტები გაიწეროს კურსის შინაარსისა და წინაპირობების გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სილაბუსებში კვირების მიხედვით გაიწეროს თემატიკა, დაკონკრეტდეს განსახილველი საკითხები;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მიუხედავად კვლევის მეთოდების არასრული სწავლებისა, პროგრამაში არსებობს ორი სპეციფიური კურსი 'კვლევითი სასწავლო პრაქტიკა/სტაჟირება და პროექტის დიზაინი', რომელიც პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზეა ფოკუსირებული.

პროგრამის ფარგლებში სტაჟირებას ფორმალიზებული და სისტემური ხასიათი აქვს. კერძოდ, ხელშეკრულებები ფორმდება სტაჟირების დროს დამსაქმებელ ორგანიზაციასა და სტუდენტს შორის. ხოლო, სტაჟირების დასრულების შემდეგ სტუდენტი წარადგენს დოკუმენტაციას, რომლის საფუძველზეც ენიჭება 5 კრედიტი; კერძოდ, დამსაქმებლის მიერ იმ შესრულებული სამუშაოს აღწერა, რომელიც ეკისრებოდა სტუდენტს, სტაჟირების უშუალო ხელმძღვანელის მიერ სტუდენტის დახასიათების წერილი, ასევე, სტუდენტის მიერ გაწეული სამუშაოს აღწერის ანგარიში.
ასევე, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ფაქტს, რომ პროგრამას უთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს მისი სპეციფიკისა და კვლევითი პროფილის შესაბამის ორგანიზაციებთან.

მესამე სემეტრში კურიკულუმით გათვალისწინებული „სამაგისტრო კვლევის დიზაინი", სტუდენტებს საშუალებას აძლევს ასევე დაამუშაონ და შეასრულონ სამაგისტრო კვლევა.

პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს აქვთ საშუალება საკუთარ კვლევეზე დაფუძნებული სტატიები დაბეჭდონ ყოველწლიურ ციფრულ ჟურნალში „ხმა ქართველი ქალისა", რომელიც პირველი გამოცემაა გენდერის კვლევაში, თსუ გენდერის კვლევის ინტიტუტის ორგანიზებით. მნიშვნელოვანია, რომ რამდენიმე კურსდამთავრებული არის თსუ-ს მოწვეული ლექტორი. პროგრამის ყოფილი სტუდენტები მუშაობენ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში, ფონდებში, ასევე სამთავრობო უწყებებში ექსპერტებად, მკვლევრებად. მათი უმრავლესობა კვალიფიკაციის შესაბამისადაა დასაქმებული წამყვან პოზიციებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამის აღწერა;

- კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის წერილები;
- თანამშომრლობის მემორანდუმები;
- თუს გენდერის ინსტიტუტის ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/GenderStudiesTSU/photos/?ref=page_internal
- ციფრული ჟურნალი გენდერის კვლევაში „ხმა ქარველი ქალისა“: https://womensvoice.tsu.ge/index.php/WOM/issue/archive
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და სხვა თანდართული დოკუმენტების შესწავლის შედეგად, ისევე, როგორც აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუებით აკადემიურ პროცესში ჩართულ სხვადასხვა პერსონასთან, ირკვევა, რომ თითოეული სასწავლო კურსის სწავლების მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. ასევე, ძირითადად შეესაბამება კურსის შინაარსს და მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევაზე. სწავლება-სწავლისას გამოყენებული შეფასების სისტემაში ჩაშლილია შემადგენელი კომპონენტები. სწავლა-სწავლების მეთოდებს შორის აქტიურად გამოიყენება: სემინარი; შემთხვევის შესწავლა; როლური და სიტუაციური თამაშები; გონებრივი იერიში; ვერბალური და წერითი მუშაობის მეთოდი; დისკუსია/დებატები; ჯგუფური მუშაობა; დემონსტრირების მეთოდი; ახსნა-განმარტების მეთოდი; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; წიგნზე მუშაობის მეთოდი; ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; ელექტრონული სწავლების (E-learning) მეთოდები. რიგ შემთვევაში ჩნდება კითხვები სწავლების მეთოდებისა და შეფასების მეთოდის შესაბამისობასთან დაკავშირებით კურსის სპეციფიკასა და მიზნებთან. მაგალითად, რამდენად შესაბამისია ბილეთების (4-6 განვლილი საკითხი) მეთოდით (რომელსაც 100 ქულიდან 50 ქულა ეთმობა; კერძოდ, შუალედური (20) და დასკვნითი (30) შეფასება) კურსის - *რაოდენობრივი კვლევის მეთოდები* - ფარგლებში შედეგების შეფასება, იმ დროს როდესაც ამ კურსის მიზანს საზოგადოდ (მოცემულ შემთხვევაშიც) წარმოადგენს პრაქტიკული ცოდნისა და კვლევითი უნარების გამომუშავება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდი: • სამაგისტრო პროგრამის აღწერა და სილაბუსები; • ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდების შესაბამისობა კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან უზრუნველყოფილი იყოს ყველა კურსის ფარგლებში;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტთა შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად. შეფასების კრიტერიუმები გაწერილია სილაბუსებში, მათზე ხელმისაწვდომობა სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია უსდ-ს შიდა ელექტრონული მართვის სისტემაში.

საგანში მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას.საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტი სემესტრის განმავლობაში ფასდება სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით (დავალებები, პრეზენტაციები, გამოცდები, აქტიურობა და ა.შ). შეფასების გრადაცია შემდეგნაირია: A -ფრიადი (91-100 ქულა); B-ძალიან კარგი (81-90); C-კარგი (71-80 ქულა); D-დამაკმაყოფილებელი (61-70 ქულა); E-საკმარისი (51-60); FX-ვერ ჩააბარა (41-50); F-ჩაიჭრა (0-40). FX შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა დამატებით გავიდეს ფინალურ გამოცდაზე და აიმაღლოს ქულა. დამატებითი გამოცდა ინიშნება ფინალური გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში, სტუდენტი ფასდება შემდეგნაირად: ხელმძრვანელის შეფასება - 20 ქულა, რეცენზენტის შეფასება - 40 ქულა, პრეზენტაცია - 40 ქულა. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება ნაშრომის საბოლოო ვერსიის საფუძველზე, ხოლო ყველა სხვა სასწავლო კურსში, ფინალური გამოცდის ხვედრითი წილი არ აღემატება 40 %-ს. სასწავლო კურსების სილაბუსებთან ერთად უსდ-ს შემუშავებული აქვს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი, სადაც მოცემულია დეტალური განმარტება შეფასების მექანიზმების შესახებ.

ზემოაღნიშნულთან ერთად, სააკრედიტაციო კომისიის ვიზიტის ფარგლებში, სტუდენტებისა და ლექტორების ინტერვიუირებისას დადასტურდა, რომ შეფასებების ასახვის შემდეგ არსებობს სტუდენტთან უკუკავშირი სხვადასხვა ფორმატში. სტუდენტები

აღნიშნავენ, რომ შეფასების ფორმები და მექანიზმები მათთვის თავიდანვე ცნობილი, გასაგები და გამჭვირვალეა. ასევე, იცნობენ შეფასების გასაჩივრების წესსაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასწავლო კურსის სილაბუსები; • სამაგისტრო პროგრამის აღწერა; • სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი; • უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება; • სააკრედიტაციო კომისიის ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუს/ების შედეგები; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			X	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ს გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის შემდგომ, სტუდენტებს უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრები პროგრამის, კურსების, საკოსულტაციო შეხვედრების, ბიბლიოთეკის და სხვა საუნივერსიტეტო სერვისების შესახებ. აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში სტუდენტებმა მოახდინეს შიდა საუნივერსიტეტო ელექტრონული სისტემის ფუნქციების და შესაძლებლობების დემონსტრირება და დაახასიათეს იგი როგორც მოქნილი და გამართული სისტემა, რომელიც უადვილებთ სასწავლო პროცესს. ასევე, აღნიშნეს, რომ ამავე სისტემისა და ელ. ფოსტის საშუალებით უნივერსიტეტის სხვადასხვა სამსახურებიდან სისტემატიურად იღებენ ინფორმაციას დასაქმების, გაცვლითი პროგრამების, კონფერენციების, სტუდენტური აქტივობების და სხვადასხვა საჯარო თუ სასემინარო ღონისძიებებზე დასწრებისა და მონაწილეობის შესახებ. აღნიშნული ღონისძიებების შესხებ ინფორმაცია ასევე თავსდება უსდს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. როგორც სტუდენტებმა, ისე მოწვეულმა და აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ სტუდენტებთან კომუნიკაცია და კონსულტაცია ხორციელდება ელ. ფოსტის ან შიდა ელექტრონული სისტემის მეშვეობით, საჭიროების შემთხვევაში კი შეხვედრა ორგანიზდება ადგილზე. საკონსულტაციო შეხვედრები განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მეორე და

მესამე სემესტრში, როდესაც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ რჩევა მომავალი სამაგისტრო ნაშრომის თემატიკასა და სტაჟირების ადგილის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია სტაჟირება, რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტებს აქვთ შესაძლებლობა შეხვდნენ დარგში არსებულ დამსაქმებლებს (სახელმწიფო, არასამთავრობო, საერთაშორისო, კერძო კომპანიებში და სხვ.) პროგრამის კურსდამთავრებეულებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პროგრამაში არსებული პრაქტიკა განსაკუთრებით დაეხმარათ სამომავლო კარიერულ განვითარებასა და დარგში კონკრეტული ინტერესის სფეროს განსაზღვრაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება N16 "სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ" • „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტპროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილება; • აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები (დანართი 3) • თანამშრომლობის მემორანდუმები (დანართი 11) • სააკრედიტაციო კომისიის ვიზიტის ფარგლებშ განხორციელებული ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. • თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს მიერ მოწოდებული დოკუმენტაციაზე დაყრდნობით (ხელმძღვანელთა CV-ები, პუბლიკაციები) საფუძველზე, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამის თითოეულ მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი. თუმცა, გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ აკადემიური პერსონალის უმრავლესობა მომიჯნავე დისციპლინების წარმომადგენელია შესაბამისი კვლევითი ინტერესებით, გენდერის მიმართულებას მათი კვლევები ნაკლებად უკავშირდება, მით უფრო, ბოლო წლების განმავლობაში (უფრო დეტალურად იხილეთ სტანდარტი #4.1) .

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესი, მისი შუალედური და საბოლოო დაცვა, შეფასება და მაგისტრის ხარსხის მინიჭება და წარიმართება თსუ-ს შესაბამისი რეგულაციების თანახმად. უსდ-ს შრომითი ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია საკონსულტაციო დატვირთვა და ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობები.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევა ხდება საკვლევი თემის, ინტერესის სფეროს და კვალიფიკაციის შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი გამოცდილების მიხედვით. გენდერის კვლევის პროგრამის მაგისტრანტებს აქვთ საშუალება ხელმძღვანელები აირჩიონ სხვა პროგრამების აკადემიური პერსონალიდანაც, თუ მათი ინტერესის სფერო თანხვედრაშია. უსდ-ს შემუშავებული აქვს „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი“ სადაც დეტალურად არის აღწერილი თემის შერჩევის, ნაშრომის სტრუქტურისა, შეფასებისა და დაცვის დეტალები.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუირების დროს, კურსდამთავრებულები აღნიშნავდნენ, რომ რეგულარულად უტარდებათ/უტარდებოდათ კონსულტაცია ნაშრომზე მუშაობისას წარმოქმნილ შეკითხვებთან და კვლევის წარმართვის პროცესთან დაკავშირებით, კერძოდ: კვლევის დიზაინის შერჩევა, კვლევის მეთოდების სათანადო გამოყენება, ნაშრომის წერის პროცესი, ადგილობრივ და მონაცემთა ანალიზი და სხვ. ამასვე ადასტურებდნენ თემის ხელმძღვანელებიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო ხელმძღვანელების CV და პუბლიკაციები
- სამაგისტრო ნაშრომების ნიმუშები
- სამაგიტრო ნაშრომების სია
- სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი

- შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები
- აკრედიტაციის საბჭოს ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების შედეგები
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- პროგრამაში დასახული მიზნების სრულყოფილად განხორციელების მიზნით, რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობის გაზრდა გენდერის კვლევის კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალით, რომელთაც აქვთ დარგში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

აღწერა და შეფასება

გენდერის კვლევის პროგრამის თვითშფასების დოკუმენტის თანახმად პროგრამაში ჩართული პირების ბალანსი არის 7/11, თუმცა უნივერსიტეტთან შემდეგომი კომუნიკაციისას გამოვლინდა, რომ თვითშეფასების დოკუმენტის მომზადების შემდეგ პროგრამაში ჩაერთო კიდევ ერთი აკადემიური პერსონალი და ამჟამად ბალანსი არის 8/10. პროგრამას არ ჰყავს ასისტენტ-პროფესორები, რაც მეტყველებს აკადემიურ პერსონალთა რიგებში დოქტორების ჩართვის მნიშვნელობაზეც.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი მაღალი კვალიფიკაციით და სწავლების ხანგრძლივი გამოცდილებით გამოირჩევა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა მომიჯნავე დისციპლინის წარმომადგენელია, პროგრამის რამდენიმე პროფესორი კი სხვა სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელია. გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამის ინტერდისციპლინარულობის გათვალისწინებით მომიჯნავე დისციპლინის აკადემიური პერსონალი სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი ცოდნის გამზიარებელია, თუმცა, თვალშისაცემია, რომ ბოლო წლების განმავლობაში აღნიშნული პროფესორების სამეცნიერო მიღწევები ნაკლებად უკავშირდება გენდერის მიმართულებას.

რაც შეეხება მოწვეულ ლექტორებს, მათ შორის არიან თსუ-ს დოქტორანტები. განსაკუთრებით მისასალმებელია, რომ პროგრამაში საკუთარი კურსების სწავლებას

იწყებენ გენდერის კვლევის პროგრამის კურსდამთავრებულები. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლისას და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად ნათლად ჩანს, რომ მოწვეული ლექტორების სტატუსის მქონე პირები პროგრამაში დღესდღეობით საკვანძო როლს ასრულებენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მოწვეული ლექტორი კითხულობს პროგრამის შედეგების მისაღწევად უმნიშვნელოვანეს კურსს „გენდერის და ფემინისტური თეორიები", რომლის გავლაც კურსების უმრავლესობის წინაპირობად არის ჩადებული.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამას 2020 წლიდან შეეცვალა ხელმძღვანელი. ამჟამინდელი ხელმძღვანელი მრავალი წლის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული გენდერის სამაგისტრო პროგრამის საქმიანობაში მოწვეული ლექტორის სტატუსით, შესაბამისად ის კარგად იცნობს პროგრამის სპეციფიკას და ადეკვატურად აფასებს როგორც პროგრამის განვითარების ისტორიას, ასევე სამომავლო გამოწვევებს. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში სწავლის, სწავლების და კვლევის მდიდარი გამოცდილება და ამასთანავე ექსპერტის სტატუსით აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა, რომ ის საკუთარი გამოცდილებისა და სოციალური კაპიტალის გამოყენებას აპირებს სამომავლოდ პროგრამის ინტერნაცინალიზაციის გაძლიერებისთვის.

თანდართულ დოკუმენტებში ნათლად არის ჩამოყალიბებული პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, მაგალითად, პროგრამის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და მისი მუდმივი შიდა და გარე მონიტორინგი; პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების ჯგუფის კოორდინირება; სტუდენტებთან ეფექტიანი კომუნიკაციის პროცესის წარმართვა და მათი სასწავლო პროცესის მონიტორინგი. თვითშეფასების დოკუმენტის შესწავლისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად ჩანს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობდა თვითშეფასების ჯგუფის საქმიანობაში და პროგრამის გაუმჯობესების პროცესში.

პროგრამის მდგრადობისთვის სასურველია, რომ უახლოეს მომავალში გაიზარდოს უშუალოდ გენდერის მიმართულების აკადემიური პეროსონალის რაოდენობა. აღნიშნული პრობლემა თვითშეფასების დოკუმენტში მითითებული სუსტი მხარეების ჩამონათვალშიც გვხვდება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი და სამუშაო ჯგუფის სხვა წევრები აცნობიერებენ გენდერის მიმართულებით აკადემიური პერსონალის და ადმინისტრაციული პერსონალის ნაკლებობას და გეგმავენ ამ საკითხზე მუშაობას. აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებშიც გამოვლინდა, რომ ადმინისტრაციის მხრიდან არის გენდერის მიმართულებით მომუშავე აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის მზაობა.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში ერთ-ერთი საყურადღებო მიმართულებაა სწავლებისა და კვლევის პროცესის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და გაძლიერება. სასურველი იქნება გენდერის სამაგისტრო პროგრამაზეც მოხდეს უცხოელი პროფესორების ჩართვა სწავლებისა და კვლევის პროცესში. მით უმეტეს, უცხოელ პროფესორთა მხარდამჭერი წერილები ადასტურებს პროგრამით დაინტერესებას და თანამშრომლობის უფრო ინტენსიურ ფაზაში გადასვლისათვის მზადყოფნას.

პროგრამის განხორციელებაში აკადემიური პერსონალის და მოწვეული ლექტორების გარდა მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის მართვის ორგანოები და სხვა

სტრუქტურული ერთეულები. პროგრამის განხორციელებას ასევე უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. პროგრამაში ჩართულია სრულ განაკვეთზე მყოფი 2 სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი, რომელიც ემსახურება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამებს. ასევე პროგრამას ემსახურება სოციალურ მეცნიერებათა ბაზაზე არსებული ბიბლიოთეკის პერსონალი (1 ბიბლიოთეკარი). შეიძლება ითქვას, რომ გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამას ადამიანური რესურსების გათვალისწინებით აქვს სტუდენტების რაოდენობის გაზრდის პოტენციალი და კარგი იქნება თუ იმუშავებს ამ მიმართულებითაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო პროგრამა - „გენდერის კვლევა“; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და საქმიანობის წესი; • აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები; • ხარისხის უზრუნველყოფის დებულება; • ხელმძღვანელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულების ნიმუშები; • თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება N118/2014, 22 დეკემბერი, „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ (დამტკიცებული თსუ- ის წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმით N10, 29.12.2014 წ.) • თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება №81/2018, 26 თებერვალი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ. https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/812018// • თსუ-ის აკადმიური საბჭოს დადგენილება №64/2018, 19 თებერვალი, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/642018// • სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება; • სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება; • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა; • სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი; • საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები; • სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; • დოკუმენტი თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგოს შესახებ.
რეკომენდაციები:

- პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია პროგრამაში გაიზარდოს გენდერის კვლევის კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა.
- რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი და დატვირთვა უზრუნველყოფდეს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას, რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის მდგრადობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის მდგრადობისთვის სასურველია, რომ გაიზარდოს პროგრამაში ჩართული დოქტორების რიცხვი.
- ასევე, სასურველია მეტად გააქტიურდეს ინტერნაციონალიზაციის კუთხით მუშაობა, განსაკუთრებით სწავლებისა და კვლევის მიმართულებით უცხოელი პროფესორების ჩართულობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

აღწერა და შეფასება

უნივერსიტეტი სისტემატურად აწარმოებს გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პერსონალის მართვის დეპარტამენტი, რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის პერსონალის მართვასთან დაკავშირებული სამუშაოების ორგანიზებას, კოორდინაციას, კონტროლსა და რეალიზაციას. 2018 წელს განხორციელდა პერსონალის მართვის დეპარტამენტის ორგანიზაციული შეფასება, რომლის საფუძველზეც შემუშავდა რეკომენდაციები სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესებისთვის (მათ შორის, სამსახურის დებულების, პერსონალის სამუშაო აღწერილობების და შეფასების კრიტერიუმების სარეკომენდაციო პროექტები).

უნივერსიტეტში არსებობს სილაბუსების სარეკომენდაციო ფორმა და ხორციელდება მათი შეფასებისა და სტანდარტთან შესაბამისობის პრაქტიკა.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის კვლევისა და სწავლებასთან დაკავშირებული პროცესის ყოველწლიურ შეფასებას. უნივერსიტეტის პერსონალის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასება ხდება აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი პერსონალის შეფასების წესით განსაზღვრული თვითშეფასების ანგარიშების და მათში წარმოდგენილი კრიტერიუმების საფუძველზე. პერსონალის თვითშეფასების შედეგებს განიხილავენ და აფასებენ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების საბჭოები და სამეცნიერო საბჭოები. თვითშეფასების პროცესი მიზნად ისახავს, რომ პერსონალმა აღიქვას უნივერსიტეტის მხრიდან მის მიმართ არსებული მოლოდინები. ასევე თვითშფასების პროცესის შედეგად წარმოებს პერსონალის საქმიანობის სისტემატური მონიტორინგი; პერსონალის განვითარების საჭიროებების გამოვლენა; ინდივიდუალური პოტენციალის აღმოჩენა და სწორი მიმართულებებით განვითარება და შრომითი მოტივაციისა და სამუშაოთი კმაყოფილების გაზრდა. შეფასების შედეგების მიხედვით შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებები პერსონალის წახალისების მიზნით.

კვლევის მხარდაჭერის მიზნით თსუ-ში ფუნქციონირებს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი. დეპარტამენეტი უნივერსიტეტის თანამშრომლებს ხელს უწყობს უნივერსიტეტში ხარისხზე და შედეგზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევების განხორციელებას და ამასთანავე ეხმარება დაფინანსების მოპოვებაში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშისა და აკრედიტაციის ვიზიტის საფუძველზე გამოვლინდა, რომ აღნიშნული სამსახური სისტემატურად გეგმავს და ახორციელებს პერსონალის საჭიროებებზე მორგებულ ტრენინგებს, სემინარებს და ვორკშოპებს ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორებისა და ექსპერტების მონაწილეობით. 2010 წელს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის ჩატარდა 33 ტრენინგი.

სწავლების პროცესის გაუმჯობესებისთვის ხდება სარეკომენდაციო გზამკვლევების მომზადება, დარგის ახალი სახელმძღვანელოების თარგმნა, სარეკომენდაციო ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის შედგენა და შესყიდვა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიერ.

თსუ-ს სტრატეგიასა და სამოქმედო გეგემაში ვხედავთ, რომ პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. აკადემიური პერსონალს შესაძლებლობა ეძლევა, რომ კვალიფიკაციის ასამაღლებლად მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა გაცვლით პროგრამებსა თუ ღონისძიებებში. უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ ლექტორებს აქვთ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებისთვის საჭირო თანხების უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან მიღების შესაძლებლობა, თუმცა

გასაუბრებებზე გამოჩნდა, რომ ზოგიერთმა მოწვეულმა ლექტორმა ამ შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია აკრედიტაციისთვის მზადების პროცესში გაიგო.
უნივერსიტეტი ასევე ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ განვითარებაზე თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლებასა და კვლევაში დანერგვით. თსუ ჩართულია ხარისხის ერაზმუსის ინსტიტუციური განვითარების პროგრამის ერთ-ერთ პროექტში „აკადემიური კეთილსინდისიერება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხიანი სწავლებისა და სწავლისთვის“ (INTEGRITY). აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2017-2020 წლებში ფარგლებში ჩატარდა მიზნობრივი ტრენინგები სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის, შემუშავდა კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი, გაუმჯობესდა აკადემიური წერის სასწავლო კურსის სილაბუსები და მოხდა “Turnitin”-ის პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა სასწავლო პროცესის მართვისა (LMS) და მუდლის (Moodle+Turnitin) სისტემებში. ამ ინსტრუმენტების შემუშავება პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ეხმარება სტუდენტებში აკადემიური კეთილსინდისიერების დანერგვის ეფექტიანად უზრუნველყოფაში.
პანდემიის დაწყებასთან ერთად ფაკულტეტმა წარმატებით დაძლია ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებული გამოწვევები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ არაერთი ონლაინ ტრენინგი გაიმართა დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით.
უნივერსიტეტის აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა შეძლო თანამედროვე ტექნოლოგიების სინქრონული/ასინქრონული (ZOOM, Moodle, LMS და სხვ.) ფორმით აქტიური გამოყენება. ტრენინგების დადებით ეფექტიანობას ადასტურებს უსდ-ს მიერ ჩატარებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვები ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით და სტუდენტების კმაყოფილების გამოსავლენად ჩატარებული გამოკითხვები.
თანდართული დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანს, რომ უნივერსიტეტი აწარმოებს სამეცნიერო/კვლევით საქმიანობას. მაგალითად, 2016 წელს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე „მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა კონკურსი, რომელში მონაწილეობაც შეეძლო ფაკულტეტის პროფესორებს, სწავლების სხვადასხვა დონიდან წარმოდგენილი არანაკლებ ორი სტუდენტის ჩართვით. ტარდება სხვადასხვა კონფერენციები, მაგალითად, ყოველწლიური საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენცია და სტუდენტთა საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის ცხადდება კონკურსები სახელმძღვანელოების შექმნის შესახებ. თუმცა ასევე თვალშისაცემია, რომ სამეცნიერო აქტივობა ჩანს უფრო საუნივერსიტეტო, ან საფაკულტეტო დონეზე და ნაკლებად გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამის დონეზე. იკვეთება უშუალოდ გენდერის პროგრამაში ჩართული პერსონალისთვის განკუთვნილი პროფესიული ტრენინგებისა თუ ღონისძიებების სიმცირე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა - „გენდერის კვლევა“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2020 წლის ანგარიში;
- ხელმძღვანელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;

- თებერვალი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ. https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/812018//
- თსუ-ის აკადმიური საბჭოს დადგენილება №64/2018, 19 თებერვალი,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/642018//
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები;
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლების განხორციელების კონცეფციისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ;
- თსუ-ს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი;
- ტრენინგების კალენდარი https://www.tsu.ge/ka/quality-assurance/page/%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვები ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით;
- სტუდენტების გამოკითხვები ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უშუალოდ გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისების ღონისძიებების გააქტიურება, რაც მათ პროფესიულ განვითარებაში პოზიტიურ წვლილს შეიტანდა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსი
➢ პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
აღწერა და შეფასება უნივერსიტეტში სტუდენტთა რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის ხელშეწყობის მიზნით მოქმედებს საუნივერსიტეტო ქსელი „LMS" ასევე, გამოიყენება „Turnitin"-ისა და „Moodle"-ის პროგრამები. მათი დახმარებით სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია სიახლეების შესახებ და უკუკავშირის შესაძლებლობა. სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „LMS" ხელს უწყობს სტუდენტებსა და პროგრამის განმახორციელებელ პირებს, ასევე, უნივერსიტეტის სამსახურებს შორის კომუნიკაციას. გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამა სარგებლობს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ბიბილიოთეკებით. პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელება ხდება თსუ-ს II კორპუსში სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ბაზაზე, სადაც განთავსებულია სოციალურ მეცნიერებათა ბიბლიოთეკა და საკლასო ოთახი. აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის ვიზიტის ონალინ ფორმატიდან გამომდინარე სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსის დათვალიერება ვერ მოხდა დისტანციურ რეჟიმში. გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამას 2011-2012 სასწავლო წლამდე ადმინისტრირებას სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი უწევდა და 2014 წლიდან ცენტრის ოფისი (თსუ-ს მე-2 კორპუსში) გადაეცა თსუ-ს გენდერის კვლევის ინსტიტუტს. ღირებულ რესურსს წარმოადგენს სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ბიბლიოთეკა, რომელიც თსუ-ს სოციალურ მეცნიერებათა მიმართულების (სოციალური მეცნიერებები, სოციოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტოლოგია) მაგისტრანტებისთვის არის განკუთვნილი. ბიბლიოთეკის წიგნადი

ფონდი შედგება 6000-მზე მეტი ტომისგან. აქედან 600-მდე მიეკუთვნება გენდერის/ქალთა/ფემინისტურ კვლევებს. წიგნების უმრავლესობა ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებზეა. ბიბლიოთეკა აღჭურვილია ელექტრონული კატალოგის სისტემით და უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის საჭირო წიგნების ავტომატურ მოძიებას.

პროგრამის სტუდენტებს აქვთ წვდომა თსუ-ს უფასო საბიბლიოთეკო რესურსებზე. საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობის წესები, სხვა ხასიათის ინსტრუქციებთან ერთად, ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ინტერნეტ გვერდზე. ბიბლიოთეკის თანამშრომელთან დისტანციური ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა, რომ თსუ-ს ბიბლიოთეკაში იძებნება პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული მასალები. სტუდენტებს როგორც უნივერსიტეტიდან, ასევე უნივერსიტეტის გარე სივრცეებიდან აქვთ წვდომა ისეთ აღიარებულ საერთაშორისო ბაზებზე, როგორიცაა EBSCO, კემბრიჯის ონლაინ ჟურნალები, ოქსფორდის ჟურნალები, SAGE პუბლიკაციები, მეცნიერებადერია, JSTOR, SciVerse Scorpus, Springer ბმული, Aluka და ა.შ., თუმცა აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნულ ბაზებს ძალიან ცოტა სტუდენტი იყენებს. სასურველი იქნება მათი გამოყენების სიხშირის გაზრდა სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიების მეშვეობით.

რაც შეეხება კომპიუტერულ რესურსს, გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ ზოგადად ფაკულტეტის მოხმარებაში არსებული კომპიუტერები (103 კომპიუტერი), რომელიც უნივერსიტეტის სხვადასხვა სივრცეებშია განლაგებული.

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტის აუდიტორიების ძალიან მცირე ნაწილია პროექტორით აღჭურვილი, რაც სწავლის პროცესის ეფექტიანობისთვის ხელისშემშლელი ფაქტორია. ზოგადად უნდა აღნიშნოს თვითშეფასების დოკუმენტში მატერიალურ-ტექნიკური ჩამონათვალის სიმწირე. რაც შეეხება უშუალოდ პროგრამისთვის განკუთვნილ სასწავლო სივრცეს, ინტერვიების ფარგლებში გამოვლინდა, რომ პროგრამას ერთი აუდიტორია ეთმობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;
- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან;
- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ბიბლიოთეკები. ბიბლიოთეკის კატალოგი: https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/e_catalog/;
- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „LMS" (http://lms.tsu.ge/);
- ელექტრონული სწავლების პორტალი: https://e-learning.tsu.ge/;უნივერსიტეტის სამეცნიერო ბაზები: https://rp.tsu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=150&Itemid=186&lang=ka-GE
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- ფაკულტეტის ბაზაზე არსებული ინვენტარის ჩამონათვალი.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია აუდიტორიების აღჭურვა სწავლის პროცესისთვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
➢ პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
აღწერა და შეფასება გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ფაკულტეტისთვის ყოველ წელს უნივერსიტეტიდან გამოყოფილი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფარგლებში, ასევე უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული ხარჯებით, რომელიც ემსახურება უნივერსიტეტის ცენტრალური აპარატის ფუნქციონირების უზრუნველყოფას, კომუნალური ხარჯების დაფარვას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნებს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების უზრუნველყოფას. ყოველწლიურად საფაკულტეტო ბიუჯეტის შედგენა ხდება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო თანხების გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ გენდერის პროგრამას ამჟამად მხოლოდ 8 მოქმედი სტუდენტი ჰყავს, პროგრამის მიზნების სრულფასოვნად განხორციელებისთვის 2020 წლის ბიუჯეტში მისთვის განკუთვნილი 18000 ლარი ძალიან დაბალი თანხაა. ბიუჯეტში ჩანს, რომ ამ თანხის უმეტესი ნაწილი პერსონალის ანაზღაურებისთვის არის გამოყოფილი, სამეცნიერო-კვლევის და წარმომადგენლობითი ხარჯის ნაწილში კი ძალიან მცირე თანხაა დახარჯული. სამეცნიერო-კვლევის განყოფილებაში მოქცეულია წიგნების/ დამხმარე ლიტერატურის შეძენის ხარჯი; ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მივლინება; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები; სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი (სულ 357 ლარი). წარმომადგენლობითი ხარჯის ნაწილი გულისხმობს სტუდენტური სწავლის დაფინანსების, გაცვლითი პროგრამების, პრაქტიკის, ექსპედიციის და სხვადასხვა კულტურულ სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ხარჯებს (სულ 457 ლარი). ბიუჯეტის ამსახველ დოკუმენტში მითითებულია, რომ გარდა პროგრამისთვის განკუთვნილი ბიუჯეტისა, ცენტრალური ბიუჯეტიდან გაიწევა სხვა ხარჯებიც, რომელთა დაანგარიშებაც ხდება სტუდენტების რაოდენობის პროპორციულად და დამოკიდებულია კონკრეტული წლის ხარჯზე, რომელიც შესაძლებელია გაიზარდოს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო პროგრამა - „გენდერის კვლევა“; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • პროგრამის ბიუჯეტი; • 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი; • უნივერსიტეტის ბიუჯეტი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • პროგრამის მიზნების ეფექტიანად უზრუნველყოფისთვის უნდა მოხდეს პროგრამის ფინანსური მდგრადობის ზრდა. მნიშვნელოვანია, პროგრამისთვის განკუთვნილ ბიუჯეტში გაიზარდოს გამოყოფილი თანხა განსაკუთრებით სამეცნიერო/კვლევის ხარჯის და წარმომადგენლობითი ხარჯის მიმართულებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება სამსახურის დებულებით. სამსახური შედგება ორი განყოფილებისაგან - ინსტიტუციური განვითარებისა და ავტორიზაციის განყოფილება; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილება. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის მუდმივ შეფასებას. სამსახური ასევე უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდულ მონიტორინგს და მიღებული უკუკავშირის შედეგად - პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლის - ე.წ. “PDCA” პრინციპის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მეტწილად თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად. თუმცა, მოწვეულ პერსონალთან ინტერვიურების პროცესში გამოვლენილ იქნა მეტი ჩართულობისა და კომუნიკაციის საჭიროება. სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არ შემოიფარგლოს მხოლოდ ფორმალური მექანიზმების არსებობით და უფრო გააქტიურდეს ურთიერთთანამშრომლობა პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ასევე, ეფექტიანი პრაქტიკა იქნებოდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის პერიოდული შეხვედრების ორგანიზება, გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და დისკუსიის წარმართვის მიზნებისათვის.

უსდ-ს დანერგილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტის ფუნქციონირების პრაქტიკა. საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის საქმიანობა გულისხმობს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროცესში. კომიტეტში, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გარდა, შედის ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები, საჭიროების შემთხვევაში. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს კომიტეტისა და თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ახდენს რეკომენდაციებისა და ცვლილებების ასახვას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა - „გენდერის კვლევა“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის დებულება;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;

- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არ შემოიფარგლოს მხოლოდ ფორმალური მექანიზმების არსებობით და უფრო გააქტიურდეს ურთიერთთანამშრომლობა პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, პროგრამის განმავითარებელ, ე.წ. სიმულაციურ შეფასებას, გარე ექსპერტის შეფასებას და აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთისა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან. აღნიშნული პროცესები უზრუნველყოფს ხარისხის კულტურის ინსტიტუციურ განვითარებას, პროგრამულ კომიტეტებთან ეფექტიან თანამშრომლობას, ასევე დარგობრივ ექსპერტთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და სხვა შესაძლო დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას.

გენდერის კვლევის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტიზა. მიღებული რეკომენდაციები კი გამოყენებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში. გარე ექსპერტიზა მოიცავდა პროგრამის შეფასებას გარკვეული ინდიკატორებით, მათ შორის შეფასებულ იქნა სწავლის მიზანი, შედეგები, პროგრამის სტრუქტურა და საგნების შინაარსობრივი მხარე. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგად, დადგინდა რომ პროგრამა გარე კოლეგიალური შეფასების ფარგლებში გაზიარებულ იქნა კალიფორნიის უნივერსიტეტისა და ჯონ ჯეის კოლეჯის პროფესორებთან. მხარდაჭერის წერილების შესაბამისად, პროგრამა შეფასდა როგორც თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი, აღინიშნა გენდერის სწავლების ინტერდისციპლინური მიდგომა, უნიკალურობა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში და პრაქტიკული და კვლევითი უნარების გამომუშავების შესაძლებლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა - „გენდერის კვლევა“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის დებულება;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენდერის კვლევის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სხვა ანალოგიურ პროგრამებთან შედარების შედეგების ანალიზი;
- კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის წერილები;
- გარე ექსპერტთა მხარდაჭერის წერილები;
- ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • პროგრამის კოლეგიალური განმავითარებელი შეფასება, ე.წ. „აკრედიტაციის სიმულაციური პროცესი“
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ახორციელებს შესაბამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით, ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. შესაბამისი მონაცემების გაანალიზების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური როგორც წესი ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე უზრუნველყოფს შეფასების შედეგებისა და რეკომენდაციების გაცნობას დაინტერესებულ მხარეებთან. თუმცა, გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამისათვის, რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამაზე დაკვირვების ფარგლებში, შეიმუშავოს რელევანტური კრიტერიუმები და სწავლის შედეგების შეფასების მდგრადი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის

სწავლის შედეგების შეფასებას და შემდგომი განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას.

ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების ეტაპზე. აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევისა და სფეროს წარმომადგენლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგების შესაბამისად, არსებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება პროგრამების გაუმჯობესება, რათა უკეთ მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დანერგილი პროგრამების კოლეგიალური განმავითარებელი შეფასების მექანიზმის შესაბამისად, პერიოდულ მონიტორინგს ექვემდებარება პროგრამები, რომლებიც აკრედიტაციის ვადის ფარგლებში რეგულარულად განიცდიან ცვლილებებს და ის პროგრამები, რომლებიც ყველაზე ნაკლებად განიცდიან ცვლილებებს. აღნიშნული სააკრედიტაციო პროცესის სიმულაციური ფორმატი ხელს უწყობს პროგრამების შეფასებას, ასევე, დაინტერესებულ და ჩართულ მხარეთა მიერ პროგრამების განვითარების შესაძლებლობების იდენტიფიცირებას.

უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების დადარება ანალოგიურ პროგრამებთან, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების და თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სამიზნე უნივერსიტეტები შერჩეულია დარგობრივი სტანდარტების გათვალისწინებით წარმატების მაჩვენებლების შესაბამისად. ვინაიდან, გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამა საქართველოში ერთადერთია, პროგრამის განვითარების პროცეში გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო გამოცდილება, მეტწილად რატგერსის უნივერსიტეტისა და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პროგრამების ანალიზის საფუძველზე. სამაგისტრო პროგრამების დადარება განხორციელდა შემდეგი კრიტერიუმის გამოყენებით: სწავლის მიზანი, შედეგები, პროგრამის სტრუქტურა და საგნების შინაარსობრივი მხარე. ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა პროგრამების მსგავსება, როგორც ზოგადად პროგრამის, ასევე ცალკეული სასწავლო კურსების დონეზეც, იდენტიფიცირებულ იქნა განსხვავებები და უპირატესობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად და შესაბამისად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა - „გენდერის კვლევა“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის დებულება;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება;

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის გარე შეფასება და მხარდაჭერის წერილები;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენდერის კვლევის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სხვა ანალოგიურ პროგრამებთან შედარების შედეგების ანალიზი;
- ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამაზე დაკვირვების ფარგლებში, შეიმუშავოს რელევანტური კრიტერიუმები და სწავლის შედეგების შეფასების მდგრადი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას და შემდგომი განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

სამაგისტრო პროგრამა - გენდერის კვლევა

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

56 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			X	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ანა კირვალიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ელენე გავაშელიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა

მარიამ ლობჯანიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამთა ცხოვრებაძე